

გუბერნატორმა სურამი-ქემფერის დამაკავშირებელი რეაბილიტირებული ხიდი მოინახულა

13 აპრილი 2017

შიდა ქართლის გუბერნატორი, კახა სამხარაძე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, გიორგი გურასპაშვილთან ერთად რამდენიმე კვირის წინ სტიქიის შედეგად დაზიანებული სურამი-ქემფერის დამაკავშირებელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების პროცესის მოსანახულებლად იმყოფებოდა. არსებული ხიდის მემკვიდრით ცოცხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების, ქემფერის, ცედანისა და ნაბლოვანის დაკავშირება ხდება. ხიდის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან 34 982 ლარით დაფინანსდა და რამოდენიმე დღეში ექსპლუატაციაში შევა.